

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის I კვარტლის
შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების
ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის

აქტი

ქ. ფოთი

ივნისი 2017 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 2016 წლის 30 დეკემბრის № 24/85 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტებმა ო. ცატავამ და ა. იოსავამ შევისწავლეთ საკითხი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებულ ბიუჯეტში კვარტალური დაყოფა და საანგარიშო პერიოდში ცვლილებების შეტანა ხორციელდებოდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის მიერ, ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემის (Ebudget) თანახმად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის № 1/1 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში შეტანილია რიგი ცვლილებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სულ მთლიანობაში დაფინანსების წყარომ შეადგინა 16447,8 ათ. ლარი (I+II), მათ შორის:

I. 2017 წლის 1 იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი - 890,5 ათ. ლარი, საიდანაც 42,7 ათ. ლარი დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების აუთვისებული ნაწილი 29,6 ათ. ლარი და 13,1 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად), აქედან გამომდინარე, მიმდინარე წელს გამოსაყენებელი ნაშთის ოდენობა შეადგენს 847,8 ათ. ლარს, რაც მთლიანი გეგმის 5,2 პროცენტია.

II. სულ შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15600,0 ათ. ლარი,

რაც მთლიანი გეგმის 94,8 პროცენტია.

აქედან სახეების მიხედვით:

1. შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15100,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 91,8 პროცენტია. მათ შორის:

- 1.1. გადასახადები - 11100,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 67,5 პროცენტია;
- 1.2. გრანტები - 260,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 1,6 პროცენტია;
- 1.3. სხვა შემოსავლები - 3740,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 22,7 პროცენტია.

2. არაფინანსური აქტივების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 500,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 3,0 პროცენტია. მათ შორის:

- 2.1. ძირითადი აქტივები - 100,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 0,6 პროცენტია;
- 2.2. არაწარმოებული აქტივები (მიწა) - 400,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 2,4 პროცენტია.

III. სულ ბიუჯეტის ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16447,8 ათ. ლარი. მათ შორის:

1. ხარჯები - 12861,2 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 78,2 პროცენტია;
2. არაფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა) - 3374,9 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 20,5 პროცენტია;
3. ვალდებულებების კლება - 211,7 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 1,3 პროცენტია.

წლიური დაზუსტებული გეგმებიდან გამომდინარე I კვარტლის გეგმები და მათი შესრულება განისაზღვრა შემდეგნაირად:

A. შემოსულობების ნაწილი

მთლიანობაში შემოსულობების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3575,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 44,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3619,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3132,2 ათ. ლარი, ე.ი. 487,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 86,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1430,5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 31,4 პროცენტი.

შემოსულობები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

I. შემოსავლები

შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3525,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 44,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3569,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 882,2 ათ. ლარი, ე.ი. 2687,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 24,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1882,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 68,1 პროცენტი.

შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. გადასახადები

გადასახადების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2149,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 43,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2192,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 416,4 ათ. ლარი, ე.ი. 1775,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 19,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 36,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 8,1 პროცენტი.

გადასახადები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1.1. საშემოსავლო გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 650,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 7,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 643,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 272,4 ათ. ლარი, ე.ი. 370,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 42,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 82,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 23,2 პროცენტი.

1.2. ქონების გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1499,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 50,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1549,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 144,0 ათ. ლარი, ე.ი. 1405,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 9,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 45,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 46,3 პროცენტი.

ქონების გადასახადი სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

ა) საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1479,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 17,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1496,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 60,9 ათ. ლარი, ე.ი. 1435,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 4,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 13,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 27,4 პროცენტი.

ბ) უცხო საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც შემოსულა.

გ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად უკან იქნა დაბრუნებული გასულ პერიოდში შეცდომით ჩარიცხული თანხა 2,7 ათ. ლარის ოდენობით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2,7 ათ. ლარით.

დ) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად უკან იქნა დაბრუნებული გასულ პერიოდში შეცდომით ჩარიცხული თანხა 5,4 ათ. ლარის ოდენობით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 8,5 ათ. ლარით.

ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 32,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 91,2 ათ. ლარი, ე.ი. 58,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 277,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 43,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 92,0 პროცენტი.

ვ) სხვა გადასახადები ქონებაზე გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც შემოსულა.

1.2. სხვა გადასახადები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც შემოსულა.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 81,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 2192,3 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 416,4 ათ. ლარი, ანუ 1775,9 ათ. ლარით ნაკლები.

2. გრანტები

მისაღები გრანტების (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მისაღები ტრანსფერი) დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 70,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 71,7 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 22,4 ათ. ლარი, ე.ი. 49,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 31,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 931,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 97,7 პროცენტი.

გრანტები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

2.1. ბიუჯეტით გათვალისწინებული მისაღები ტრანსფერების (მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 70,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 71,7 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 51,9 ათ. ლარი, ე.ი. 19,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 72,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 12,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 30,1 პროცენტი.

2.2. ფონდებიდან გამოყოფილი მისაღები ტრანსფერები (სხვა პროექტები) გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების აუთვისებული ნაწილი დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში 29,4 ათ. ლარის ოდენობით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 943,3 ათ. ლარით.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გრანტიდან მისაღები შემოსავლების გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 68,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 71,7 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 22,4 ათ. ლარი, ანუ 49,3 ათ. ლარით ნაკლები.

3. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1305,5 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 443,4 ათ. ლარი, ე.ი. 862,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 34,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 914,5 ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 67,3 პროცენტი.

სხვა შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

3.1. საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1010,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 30,7 ათ. ლარი, ე.ი. 979,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 3,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1022,0 ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 97,1 პროცენტი. მათ შორის:

ა) პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 7,1 ათ. ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 13,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 66,2 პროცენტი.

ბ) დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩაირიცხა.

გ) რენტიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1010,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 23,6 ათ. ლარი, ე.ი. 986,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 2,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1008,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 97,7 პროცენტი. **აქედან:**

გ.ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1000,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 14,4 ათ. ლარი, ე.ი. 985,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 1,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1004,8 ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 98,6 პროცენტი.

გ.ბ) მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 9,2 ათ. ლარი, ე.ი. 0,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 92,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 3,3 ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 26,4 პროცენტი.

გ.გ) სხვა არაკლასიფიცირებული რენტიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩაირიცხულა.

3.2. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 165,5 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 273,8 ათ. ლარი, ე.ი. 108,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 165,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 75,8 ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 38,3 პროცენტი. **მათ შორის:**

ა) ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახადებების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 163,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 265,9 ათ. ლარი, ე.ი. 102,9 ათ. ლარით მეტი, ანუ 163,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 67,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 34,3 პროცენტი. **აქედან:**

ა.ა) სანებართვო მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 27,0 ათ. ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 8,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 48,4 პროცენტი.

ა.ბ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩაირიცხულა.

ა.გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 38,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 100,9 ათ. ლარი, ე.ი. 62,9 ათ. ლარით მეტი, ანუ 265,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 60,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 151,6 პროცენტი.

ა.დ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლიდან შემოსავლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 125,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 138,0 ათ. ლარი, ე.ი. 13,0 ათ. ლარით მეტი, ანუ 110,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,2 პროცენტი.

ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან (შემოსავალი მომსახურების გაწევიდან) მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,5 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 7,9 ათ. ლარი, ე.ი. 5,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 316,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 7,9 ათ. ლარით.

3.3. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 130,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 105,0 ათ. ლარი, ე.ი. 25,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 80,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 4,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 4,1 პროცენტი.

3.4. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩაირიცხულა.

3.5. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 33,9 ათ. ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 27,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 438,1 პროცენტი.

სხვა შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 66,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 1305,5 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 443,4 ათ. ლარი, ე.ი. 862,1 ათ. ლარით ნაკლები.

მთლიანობაში შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 75,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 3569,5 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 882,2 ათ. ლარი, ე.ი. 2687,3 ათ. ლარით ნაკლები.

II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, რაც არ ჩაირიცხა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 197,9 ათ. ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. ძირითადი აქტივებიდან (კაპიტალის გაყიდვა) მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, და ფაქტიურად არც ჩაირიცხულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 7,6 ათ. ლარით.

2. არაწარმოებული აქტივებიდან მისაღები (მიწის გაყიდვა) შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩაირიცხულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 190,3 ათ. ლარით.

ზემოთაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების შესრულებას 198,9 ათ. ლარის ოდენობით.

სულ შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები

შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 75,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 3619,5 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 882,2 ათ. ლარი, ე.ი. 2737,3 ათ. ლარით ნაკლები.

III. ვალდებულებების ზრდა (საშინაო)

მოკლევადიანი სესხის მიღება ცენტრალური ბიუჯეტიდან გეგმით არ იყო გათვალისწინებული, საანგარიშო პერიოდში შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის გამო საქართველოს მთავრობის 9 თებერვლის №200 განკარგულებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს გამოეყო უპროცენტო სესხი 2300,0 ათ. ლარის ოდენობით (უკან დაბრუნების პირობით - სესხით სარგებლობის ვადა განსაზღვრულია არა უგვიანეს 2017 წლის 1 აგვისტო), 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, ფაქტიურად ჩაირიცხა 2250,0 ათ. ლარი, ე.ი. 50,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,8 პროცენტი.

მთლიანობაში შემოსულობების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმაზე ნაკლებად შესრულებას 13,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 3619,5 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 3132,2 ათ. ლარი, ე.ი. 487,3 ათ. ლარით ნაკლები.

ფაქტიური შემოსულობების სტრუქტურა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

1. საკუთარი სახსრები, სულ - 911,7 ათ. ლარი, ანუ 29,1 პროცენტი.

მათ შორის:

1.1. ადგილობრივი შემოსავლები - 859,8 ათ. ლარი, ანუ 27,4 პროცენტი;

1.2. გრანტები (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) - 51,9 ათ. ლარი, ანუ 1,7 პროცენტი.

2. გრანტები (ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები) - 29,5 ათ. ლარი დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების აუთვისებული ნაწილი), ანუ -0,9 პროცენტი.

3. ვალდებულებების ზრდა (მოკლევადიანი სესხი) - 2250,0 ათ. ლარი, ანუ 71,8 პროცენტი.

I კვარტლის დაფინანსების წყარო შეადგენდა 4022,7 ათ. ლარს,

მათ შორის:

1. 2017 წლის 1 იანვრისათვის არსებული თანხებისა და მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთმა შეადგინა 890,5 ათ. ლარი.

2. საანგარიშო პერიოდში ჩაერიცხა ადგილობრივი შემოსავლების სახეებს სახაზინო ანგარიშზე (გადასახადები, სხვა შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება) 859,8 ათ. ლარი.

3. გრანტის სახით მიღებული სახსრები შეადგენს 22,4 ათ. ლარს.

4. საანგარიშო პერიოდში ჩაირიცხა მოკლე ვადიანი სესხი (ვალდებულებების ზრდა (საშინაო)) 2250,0 ათ. ლარი.

B. ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილის დაფინანსება დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგნაირად:

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3575,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 852,1 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 913,9 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) სარეზერვო ფონდიდან 13,3 ათ. ლარით; ა.ბ) დადგენილებით 814,6 ათ. ლარით; ა.გ) ბრძანებით 86,0 ათ. ლარით); ბ) შემცირდა 61,8 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) სარეზერვო ფონდიდან 13,3 ათ. ლარით; ა.ბ) დადგენილებით 10,0 ათ. ლარით; ა.გ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით)) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4427,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2959,5 ათ. ლარი, ე.ი. 1468,1 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 330,4 ათ. ლარით; ბ) 1128,7 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 66,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1615,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 35,3 პროცენტი.

ბიუჯეტის ასიგნება ორგანიზაცია - დაწესებულებებისა და მუხლების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1050,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 16,1 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 67,9 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) სარეზერვო ფონდიდან 3,4 ათ. ლარით; ა.ბ) დადგენილებით 26,0 ათ. ლარით; ა.გ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით); ბ) შემცირდა 51,8 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) სარეზერვო ფონდიდან 13,3 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით)) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1066,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 790,5 ათ. ლარი, ე.ი. 275,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 16,5 ათ. ლარით; ბ) 259,1 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 74,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 167,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 17,5 პროცენტი.

აღნიშნული მუხლის გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგნაირად:

1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 965,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 54,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 67,9 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) სარეზერვო ფონდიდან 3,4 ათ. ლარით; ა.ბ) დადგენილებით 26,0 ათ. ლარით; ა.გ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით); ბ) შემცირდა სარეზერვო ფონდიდან 13,3 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1019,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 745,9 ათ. ლარი, ე.ი. 273,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 16,5 ათ. ლარით; ბ) 257,4 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 73,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 155,1 ათ. ლარით, ანუ

კლებამ შეადგინა 17,2 პროცენტი.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების მუხლის გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგნაირად:

1.1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 950,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 67,9 ათ. ლარით (მათ შორის: ა) სარეზერვო ფონდიდან 3,4 ათ. ლარით; ბ) დადგენილებით 26,0 ათ. ლარით; გ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1018,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 745,9 ათ. ლარი, ე.ი. 272,2 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 16,5 ათ. ლარით; ბ) 255,7 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 73,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 155,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 17,2 პროცენტი. მათ შორის:

ა) წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულო) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 276,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,2 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 276,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 191,3 ათ. ლარი, ე.ი. 84,9 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 69,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 63,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 24,8 პროცენტი.

ბ) აღმასრულებელი ორგანოების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 674,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 67,7 ათ. ლარით (მათ შორის: ა) სარეზერვო ფონდიდან 3,4 ათ. ლარით; ბ) დადგენილებით 25,8 ათ. ლარით; გ) ბრძანებით 38,5 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 741,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 554,6 ათ. ლარი, ე.ი. 187,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 16,5 ათ. ლარით; ბ) 170,8 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 74,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 92,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 14,2 პროცენტი.

1.2. ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი) გასაწევი ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 15,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ამ თანხიდან განაწილებული იქნა მოთხოვნის შესაბამისად 13,3 ათ. ლარი, ე.ი. 1,7 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 88,7 პროცენტი. საანგარიშო პერიოდში განაწილებული 13,3 ათ. ლარის ნაცვლად ათვისებული იქნა 12,6 ათ. ლარი, ე.ი. 0,7 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 0,5 ათ. ლარით; ბ) 0,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 94,7 პროცენტი.

მიმდინარე პერიოდში თანხების გეგმიური განაწილება (13344,00 ლარი) და ათვისება (12643,00 ლარი) შემდეგნაირად განხორციელდა:

ა) გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს დასახმარებლად გამოიყო 3500,00 ლარი, რაც სრულად იქნა ათვისებული (მათ შორის: 5 მოქალაქეზე 2500,00 ლარი- (თითოეულზე გამოიყო შებამისად 500,00 ლარი) და 1 მოქალაქეზე 1000,00 ლარი;

ბ) ქლაქში მოსული უხვი ნალექის (თოვლი) გაწმენდითი სამუშაოებისა და ტექნიკური მარლის დაყრასთან დაკავშირებით გამოიყო 4390,00 ლარი, ფაქტიურად იქნა ათვისებული 4189,00 ლარი, ე.ი. 201,00 ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 95,4 პროცენტი;

გ) შეჭირვებული ოჯახებისათვის ნავსადგურიდან გამოყოფილი შეშის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გამოიყო 3454,00 ლარი, რაც სრულად იქნა ათვისებული;

დ) სხვადასხვა სახის დახმარებებზე გამოიყო 2000,00 ლარი, ფაქტიურად იქნა ათვისებული 1500,00 ლარი, ე.ი. 500,00 ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 75,0 პროცენტი.

2. ვალთან დაკავშირებული ოპერაციების დავალიანების დაფარვის (კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისათვის გადასახადი პროცენტი) დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 14,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაიფარა 14,5 ათ. ლარი (ჩარიცხულია შეთანხმების გრაფიკის თანახმად), ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 99,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 4,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 23,3 პროცენტი.

3. მგვ - ის და სხვა ვალდებულებების დაფარვის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 30,2 ათ. ლარს, ფაქტიურად დაიფარა 30,1 ათ. ლარი (ჩარიცხულია შეთანხმების გრაფიკის თანახმად), ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 99,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 8,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 21,6 პროცენტი.

4. სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მოსალოდნელი გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 40,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 38,5 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,5 ათ. ლარი, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

მთლიანობაში საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 25,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 1066,1 ათ. ლარი და ფაქტიური შესრულება 790,5 ათ. ლარი, ე.ი. 275,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 16,5 ათ. ლარით; ბ) 259,1 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

II. თ ა ვ დ ა ც ვ ა

თვითმმართველი ქლაქ ფოთის მერიის სამობილიზაციო, წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 29,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 22,1 ათ. ლარი, ე.ი. 7,2 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 0,2 ათ. ლარით; ბ) 7,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 75,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 4,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 17,5 პროცენტი.

III. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11,9 ათ. ლარით (მათ შორის: ა) სარეზერვო ფონდიდან 4,4 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 7,5 ათ.

ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 10,2 ათ. ლარი, ე.ი. 7,7 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 57,0 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 10,2 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 57,0%), რაც სრულად დაფინანსდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 530,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 98,1 პროცენტი.

ამ გადასახდელების დაფინანსება ხორციელდება 3 (სამი) მუხლიდან, კერძოდ:

ა) სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების მუხლის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 4,4 ათ. ლარით (სარეზერვო ფონდიდან განაწილება) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4,2 ათ. ლარი (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა, ე.ი. 5,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 44,7 პროცენტი.

ბ) სუბსიდიის მუხლის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 5,0 ათ. ლარი (ბრძანებით), საკასო შესრულებამ შეადგინა 3,3 ათ. ლარი (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ე.ი. 1,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 66,0 პროცენტი.

გ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,5 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2,7 ათ. ლარი, ე.ი. 0,8 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 77,1 პროცენტი.

ეკონომიკური საქმიანობის დარგიდან ფინანსდება სხვადასხვა სახის აღნიშნულების და მოცულობის სამუშაოების ჩატარება და მომსახურება:

1. ტრანსპორტის სფეროს გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11,9 ათ. ლარით (მათ შორის: ა) სარეზერვო ფონდიდან 4,4, ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 7,5 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 10,2 ათ. ლარი, ე.ი. 7,7 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 57,0 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 10,2 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 57,0%), რაც სრულად დაფინანსდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 530,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 98,1 პროცენტი.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ხარჯების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

მშენებლობის სამუშაოები

1.1. ბაზართან არსებულ ხიდზე ტროტუარის მოწყობის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,5 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,5 ათ. ლარი, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 0,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 60,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

1.2. სარეზერვო ფონდიდან გასაწევი ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით

გამოყოფილი იქნა მოთხოვნის შესაბამისად (ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით ქალაქის გაწმენდითი სამუშაოები) 4,4 ათ. ლარი, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 4,2 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 95,5%), რაც სრულად დაფინანსდა.

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

1.3. ქუჩების ორმული შეკეთების (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 2,0 ათ. ლარი (ბრძანებით), ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 1,8 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 90,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

1.4. ქუჩებისა და სანაპირო ზოლის მიმდებარე გზის მოხრეშვა - დაგრიდერების (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 5,0 ათ. ლარი (ბრძანებით), ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 3,3 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 66,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

1.5. შუქნიშნების მოვლა - პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში - დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 43,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,9 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 10,2 ათ. ლარით, ე.ი. 7,7 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 43,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 10,2 ათ. ლარით, ე.ი. 7,7 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების მოცულობას (10,2 ათ. ლარი) სრულად დაფინანსდა.

IV. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 388,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11,8 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 400,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 256,2 ათ. ლარი, ე.ი. 144,4 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 124,0 ათ. ლარით; ბ) 20,4 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 64,0 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 372,5 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 93,0%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 256,2 ათ. ლარით, ე.ი. 116,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 11,7 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 128,0 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 68,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 186,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 42,1 პროცენტი.

ამ გადასახდელების დაფინანსება ხორციელდება 2 (ორი) მუხლიდან,

კერძოდ:

ა) სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების მუხლის გარემოს დაცვის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 388,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 244,5 ათ. ლარი, ე.ი. 144,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 124,0 ათ. ლარით; ბ) 20,3 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 62,9 პროცენტი.

ბ) ვალდებულებების დაფარვის მუხლის გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 11,8 ათ. ლარი (დადგენილებით), საკასო შესრულებამ შეადგინა 11,7 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 99,2 პროცენტი.

გარემოს დაცვის დარგიდან ფინანსდება სხვადასხვა სახის დანიშნულების და მოცულობის სამუშაოების ჩატარება და მომსახურება:

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

1. ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების მომსახურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 288,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 9,4 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 298,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 187,1 ათ. ლარი, ე.ი. 111,1 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 90,9 ათ. ლარით; ბ) 20,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 62,7 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 268,6 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 90,1%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 187,1 ათ. ლარით, ე.ი. 81,5 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 9,3 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 90,8 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 69,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 35,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 23,1 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად

1.1. ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და ხელოვნური ნაგავსაყრელების გაუვნებელყოფის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 255,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 9,4 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 264,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 164,6 ათ. ლარი, ე.ი. 99,8 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 79,6 ათ. ლარით; ბ) 20,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 62,3 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 234,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 88,8%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 164,6 ათ. ლარით, ე.ი. 70,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 9,3 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 79,6 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 70,1 პროცენტი.

1.2. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების (ამოღება) გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 33,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 22,5 ათ. ლარი, ე.ი. 11,3 ათ. ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 66,6 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 33,7 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 99,7%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 22,5 ათ. ლარით, ე.ი. 11,2 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 66,8 პროცენტი.

ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 37,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 298,2 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 187,1 ათ. ლარით, ე.ი. 111,1 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 90,9 ათ. ლარით; ბ) 20,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 9,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 298,2 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 268,6 ათ. ლარით, ე.ი. 29,6 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების მოცულობას, ნაკლებად დაფინანსდა 30,3 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 268,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 187,1 ათ. ლარით, ე.ი. 81,5 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 9,3 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 90,8 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

2. ჩამდინარე წყლების მართვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,4 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 102,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 69,1 ათ. ლარი, ე.ი. 33,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 33,1 ათ. ლარით; ბ) 0,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 67,5 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 103,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 101,5%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 69,1 ათ. ლარით, ე.ი. 34,8 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 2,4 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება;

ბ) ნაკლებად დაფინანსდა 37,2 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 66,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 35,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 76,8 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად

2.1. სანიაღვრე არხების მოვლა - პატრონობა და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 37,3 ათ. ლარი, ე.ი. 12,7 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 12,6 ათ. ლარით; ბ) 0,1 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 74,6 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 49,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 99,8%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 37,3 ათ. ლარით, ე.ი. 12,6 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული

სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 74,7 პროცენტი.

2.2. სატუმბო სადგურების მოვლა - პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 45,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,4 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 47,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 26,8 ათ. ლარი, ე.ი. 20,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 20,5 ათ. ლარით; ბ) 0,1 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 56,5 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 44,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 94,7%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 26,8 ათ. ლარით, ე.ი. 18,1 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 2,4 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 20,5 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 59,7 პროცენტი.

2.3. სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, რაც სრულად დაფინანსდა. ფაქტიურად წარდგენილი მომსახურების მოცულობის ღირებულებამ შეადგინა 9,1 ათ. ლარი (გეგმის 182,0%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 5,0 ათ. ლარით, ე.ი. 4,1 ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულებაა - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 54,9 პროცენტი.

ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 32,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 102,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 69,1 ათ. ლარით, ე.ი. 33,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 33,1 ათ. ლარით; ბ) 0,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად მომსახურების მოცულობა მეტად შესრულდა 1,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 102,4 ათ. ლარს, ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 103,9 ათ. ლარით, ე.ი. 1,5 ათ. ლარით მეტი. რაც შეეხება შესრულებული მომსახურების მოცულობას, ნაკლებად დაფინანსდა 33,2 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მომსახურების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 103,9 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 69,1 ათ. ლარით, ე.ი. 34,8 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 2,4 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 37,2 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

მთლიანობაში გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 36,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 400,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 256,2 ათ. ლარით, ე.ი. 144,4 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 124,0 ათ. ლარით; ბ) 20,4 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 7,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 400,6 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 372,5 ათ. ლარით, ე.ი. 28,1 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების მოცულობას, ნაკლებად დაფინანსდა 31,2 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 372,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 256,2 ლარით, ე.ი. 116,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 11,7 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული

დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 128,0 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

V. საბინაო-კომუნალური მომსახურება

საბინაო-კომუნალური მომსახურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 507,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 194,4 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 201,4 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 191,3 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 10,1 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 7,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 702,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 444,4 ათ. ლარი, ე.ი. 257,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 127,6 ათ. ლარით; ბ) 130,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 63,3 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 551,0 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 78,5%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 444,4 ათ. ლარით, ე.ი. 106,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 57,9 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 164,5 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 80,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 422,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 48,7 პროცენტი.

ამ გადასახდელების დაფინანსება ხორციელდება 5 (ხუთი) მუხლიდან, კერძოდ:

1. სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის გადასახდელების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 350,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 45,1 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 395,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 306,1 ათ. ლარი, ე.ი. 89,0 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 61,8 ათ. ლარით; ბ) 27,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 77,5 პროცენტი.

2. სუბსიდიის მუხლის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 17,4 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 99,4 პროცენტი.

3. სხვა ხარჯების (დივიდენდები, რენტა, კაპიტალური) დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 72,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 6,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 78,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,0 ათ. ლარი, ე.ი. 39,0 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 22,8 ათ. ლარით; ბ) 16,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 50,0 პროცენტი.

4. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 68,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 119,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 117,5 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 2,1 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 187,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 67,1 ათ. ლარი, ე.ი. 120,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 36,0 ათ. ლარით; ბ) 84,6 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 35,7 პროცენტი.

5. ვალდებულებების დაფარვის მუხლის გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 23,7 ათ. ლარი (მათ შორის: ა) დადგენილებით დაუმტკიცდა 66,8 ათ. ლარი; ბ) ბრძანებით შემცირდა 43,1

ათ. ლარით), საკასო შესრულებამ შეადგინა 14,8 ათ. ლარი, ე.ი. 8,9 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 62,4 პროცენტი.

საბინაო-კომუნალური მომსახურების დარგიდან ფინანსდება 4 (ოთხი)
სხვადასხვა სახის დანიშნულების მოცულობის სამუშაოების
ჩატარება და მომსახურება:

1. ბინათმშენებლობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 72,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 14,9 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 8,9 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 6,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 86,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,0 ათ. ლარი, ე.ი. 47,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 34,4 ათ. ლარით; ბ) 13,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 44,9 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 61,8 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 71,1%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 39,0 ათ. ლარით, ე.ი. 22,8 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა -კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 63,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 70,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ 64,5 პროცენტი.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

მშენებლობის სამუშაოები

1.1. მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 6,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10,0 ათ. ლარი ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 8,8 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 88,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

1.2. ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,5 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა

1.3. აღმშენებლის ქუჩის მრავალბინიანი ს/სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 8,9 ათ. ლარი (დადგენილებით), ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა.

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

1.4. საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 49,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 18,5 ათ. ლარი, ე.ი. 30,5 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 17,0 ათ. ლარით; ბ) 13,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 37,8 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 35,5 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 72,4%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 18,5 ათ. ლარით, ე.ი. 17,0 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 52,1 პროცენტი.

1.5. მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა - პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 11,7 ათ. ლარი, ე.ი. 5,8 ათ. ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 66,9 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 17,5 ათ. ლარის ოდენობით (სრულად შესრულდა), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 11,7 ათ. ლარით, ე.ი. 5,8 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 66,9 პროცენტი.

მთლიანობაში ბინათმშენებლობის დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების ნაკლებად დაფინანსებას 55,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 86,9 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 39,0 ათ. ლარით, ე.ი. 47,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 34,4 ათ. ლარით; ბ) 13,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 28,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 86,9 ათ. ლარს, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 61,8 ათ. ლარს, ე.ი. 25,1 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული მომსახურების ღირებულებას ნაკლებად დაფინანსდა 36,9 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 61,8 ათ. ლარს და დაფინანსდა 39,0 ათ. ლარით, ე.ი. 22,8 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

2. კომუნალური მეურნეობის განვითარების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 180,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 118,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 125,6 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 124,5 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 1,1 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 7,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 298,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 118,1 ათ. ლარი, ე.ი. 180,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 85,4 ათ. ლარით; ბ) 95,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 39,5 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 203,5 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 68,1%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 118,1 ათ. ლარით, ე.ი. 85,4 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 58,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 329,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 73,6 პროცენტი

ზემოთ აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად

2.1. კეთილმოწყობის სამუშაოების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 180,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 118,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 125,6 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 124,5 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 1,1 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 7,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 298,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 118,1 ათ. ლარი, ე.ი. 180,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 85,4 ათ. ლარით; ბ) 95,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 39,5 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 203,5 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 68,1%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 118,1 ათ. ლარით, ე.ი. 85,4 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 58,0 პროცენტი. მათ შორის:

მშენებლობის სამუშაოები

ა) ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის ცენტრალური პარკის შესასვლელი არკების კაპ. რემონტის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 0,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,2 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 0,7 ათ. ლარი, ფაქტიურად (სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა.

ბ) ცენტრალური პარკში ნარდისა და შაშის შენობის მოწყობის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 0,6 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა.

გ) არაგვისპირელის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და ბუნგალოს მოწყობის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 0,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,2 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 0,7 ათ. ლარი, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არ დაფინანსდა.

დ) უპოვართა სასადილოს სამზარეულოს კაპ. რემონტის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 0,6 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 3,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

ე) ქალაქის შემოსასვლელში სიმბოლიკის კაპ.რემონტის (პროექტირება) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 0,7 ათ. ლარი (ბრძანებით), ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 0,6 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 85,7%), რაც სრულად დაფინანსდა.

ვ) მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია) გადასახდელები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 124,5 ათ. ლარი (ბრძანებით), საკასო შესრულებამ შეადგინა 65,9 ათ. ლარი, ე.ი. 58,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 36,0 ათ. ლარით; ბ) 22,6 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 52,9 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 101,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 81,8%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 65,9 ათ. ლარით, ე.ი. 36,0 ათ. ლარით ნაკლები (მდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 64,8 პროცენტი.

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

ზ) დიდების მემორიალის, სკვერების, პარკებისა და მრავალსართულიანი ს/სახლების ეზოების მოვლა - პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 40,1 ათ. ლარი, ე.ი. 59,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 49,4 ათ. ლარით; ბ) 10,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 40,1 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 89,5 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 89,5%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 40,1 ათ. ლარით, ე.ი. 49,4 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 44,8 პროცენტი.

თ) რადიო-საათის მოვლა-პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,5 ათ. ლარს, ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 1,2 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 34,3%), რაც სრულად დაფინანსდა.

ი) სახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 9,7 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 97,0%), რაც სრულად დაფინანსდა.

კ) საშობაო ნაძვის ხისა და სახალწლო ქალაქგაფორმების ინვენტარის შეძენის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 45,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 7,0 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 38,0 ათ. ლარი, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

2.2. ქალაქის გამწვანების გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

მთლიანობაში კომუნალური მეურნეობის განვითარების გადასახდელების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების ნაკლებად დაფინანსებას 60,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 298,7 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 118,1 ათ. ლარით, ე.ი. 180,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 85,4 ათ. ლარით; ბ) 95,2 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 31,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 298,7 ათ. ლარს, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 203,5 ათ. ლარს, ე.ი. 95,2 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული მომსახურების ღირებულებას ნაკლებად დაფინანსდა 42,0 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 203,5 ათ. ლარს და დაფინანსდა 118,1 ათ. ლარით, ე.ი. 85,4 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა - კრედიტორული დავალიანება).

3. გარე განათების მოწყობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 218,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 60,9 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 57,9 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 3,0 ათ. ლარით) (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 279,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 257,5 ათ. ლარი, ე.ი. 21,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 19,4 ათ. ლარით; ბ) 2,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 92,2 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 248,8 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 89,0%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 257,5 ათ. ლარით, ე.ი. 8,7 ათ. ლარით მეტი (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 57,9 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 49,2 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 103,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 21,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 7,8 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად

მშენებლობის სამუშაოები

3.1. ბაზართან არსებულ ხიდზე განათების მოწყობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,5 ათ. ლარი, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

3.2. კუნძულის სანაპირო ზოლზე განათების მოწყობის გადასახდელების დაფინანსდა გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 10,1 ათ. ლარი (დადგენილებით), რაც სრულად დაფინანსდა (გასული პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულებათ).

3.3. თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების კაპ.შეკეთების გადასახდელების დაფინანსდა გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 4,7 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა (გასული პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულებათ).

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

3.4. გარე განათების მოვლა-პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 57,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 59,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,6 ათ. ლარი, ე.ი. 19,4 ათ. ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 67,1 პროცენტი. ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 59,0 ათ. ლარის ოდენობით (სრულად შესრულდა), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 39,6 ათ. ლარით (შპს „ფოთიენერგოს“ გადაერიცხა 39596,82 ლარი მომსახურების ღირებულება) ე.ი. 19,4 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად გაჩეული მომსახურების მოცულობის 67,1 პროცენტი.

3.5. გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯების - გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 160,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 43,1 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 203,1 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 189,8 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 93,5%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 203,1 ათ. ლარით (სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ გადაერიცხა 203091,00 ლარი მიწოდებული ელ. ენერჯის ღირებულება), ე.ი. 13,3 ათ. ლარით მეტი (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 43,1 ათ. ლარით 2016 წელს მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 29,8 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად გაჩეული მომსახურების მოცულობის 107,0 პროცენტი.

გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 7,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 279,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 257,5 ათ. ლარით, ე.ი. 21,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 19,4 ათ. ლარით; ბ) 2,5 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად მომსახურების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 11,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 279,4 ათ. ლარს, ფაქტიურად მომსახურების ღირებულება შეადგენდა 248,8 ათ. ლარს, ე.ი. 30,6 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული მომსახურების ღირებულებას, მეტად დაფინანსდა 3,5 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული მომსახურების მოცულობის ღირებულებამ შეადგინა 248,8 ათ. ლარი, და დაფინანსდა 257,5 ათ. ლარით, ე.ი. 8,7 ათ. ლარით მეტი (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 57,9 ათ. ლარით 2016 წლის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ)

ნაკლებად დაფინანსდა 49,2 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

4. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო -კომუნალურ მეურნეობაში - გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 37,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 29,8 ათ. ლარი, ე.ი. 7,2 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 80,5 პროცენტი. ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 36,9 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 99,7%), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 29,8 ათ. ლარით, ე.ი. 7,1 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის 80,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 0,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,3 პროცენტი.

ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამუშაოები

4.1. უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაციის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 19,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 12,4 ათ. ლარი, ე.ი. 7,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 63,6 პროცენტი. ფაქტიურად მომსახურების მოცულობა შესრულდა 19,5 ათ. ლარის ოდენობით (სრულად შესრულდა), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფინანსდა 12,4 ათ. ლარით, ე.ი. 7,1 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება), ანუ ფაქტიურად მომსახურების მოცულობის 63,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 18,1 პროცენტი.

ფინანსდება უშუალოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან

4.2. ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა - პატრონობის ცენტრის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 17,4 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 99,4 პროცენტი. ფაქტიურად ამ პერიოდისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 17,4 ათ. ლარს, რაც სრულად დაფინანსდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 11,7 პროცენტი.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო -კომუნალური მეურნეობის სფეროში - დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 19,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 37,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 29,8 ათ. ლარით, ე.ი. 7,2 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად მომსახურების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 0,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 37,0 ათ. ლარს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 36,9 ათ. ლარს, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული მომსახურების ღირებულებას, ნაკლებად დაფინანსდა 19,2 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული მომსახურების მოცულობის ღირებულებამ შეადგინა 36,9 ათ. ლარი, და დაფინანსდა 29,8 ათ. ლარით, ე.ი. 7,1 ათ. ლარით ნაკლები (მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

მთლიანობაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 36,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 702,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 444,4 ათ. ლარით, ე.ი. 257,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 127,6 ათ. ლარით; ბ) 130,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა). ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა ნაკლებად შესრულდა 21,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 702,0 ათ. ლარს, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 551,0 ათ. ლარს, ე.ი. 151,0 ათ. ლარით ნაკლები. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ნაკლებად დაფინანსდა 19,3 პროცენტით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულება შეადგენდა 551,0 ათ. ლარს და დაფინანსდა 444,4 ათ. ლარით, ე.ი. 106,6 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) მეტად დაფინანსდა 57,9 ათ. ლარით 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება; ბ) ნაკლებად დაფინანსდა 164,5 ათ. ლარით მიმდინარე პერიოდის შესრულებული სამუშაოების ღირებულება - კრედიტორული დავალიანება).

VI. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (შემდგომში ჯანდაცვა)

ჯანდაცვის პროგრამების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 142,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 8,7 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 1,7 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 7,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 151,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 112,7 ათ. ლარი, ე.ი. 38,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 17,6 ათ. ლარით; ბ) 20,7 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 74,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 13,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 13,7 პროცენტი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამა (2 სხვადასხვა სახის) ფინანსდება სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან, რომელთა გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 38,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 32,0 ათ. ლარი, ე.ი. 6,3 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 83,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 6,7 პროცენტი.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში - ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 104,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 8,7 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 1,7 ათ. ლარით; ბრძანებით 7,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 112,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 80,7 ათ. ლარი, ე.ი. 32,0 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 17,6 ათ. ლარით; 14,4 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 71,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 11,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,8 პროცენტი.

პროგრამების მიხედვით გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა

და შესრულდა შემდეგნაირად:

2.1. მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 65,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 7,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 72,0 ათ. ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 64,9 ათ. ლარით, ე.ი. 7,1 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 6,1 ათ. ლარით; ბ) 1,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 90,1 პროცენტი.

2.2. სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ - ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ - ქიმიური გამოკვლევის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 4,6 ათ. ლარით, ე.ი. 3,9 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 54,1 პროცენტი.

2.3. გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამის ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

2.4. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 2,2 ათ. ლარით, ე.ი. 17,8 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 11,5 ათ. ლარით; ბ) 6,3 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 11,0 პროცენტი.

2.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 7,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,7 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9,2 ათ. ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 9,0 ათ. ლარით, ე.ი. 0,2 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 97,8 პროცენტი.

სულ აღნიშნული მონაცემები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 25,4 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 151,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 112,7 ათ. ლარით, ე.ი. 38,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 17,6 ათ. ლარით; ბ) 20,7 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

VII. დასვენება, კულტურა და რელიგია

დასვენების, კულტურის და რელიგიის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 553,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 584,1 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 587,1 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 565,2 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 21,9 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1137,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 554,8 ათ. ლარი, ე.ი. 582,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 7,8 ათ. ლარით; ბ) 575,1 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 48,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 349,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 38,7 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 256,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 557,0 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 560,0 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 541,1 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 18,9 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 813,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 274,7 ათ. ლარი, ე.ი. 538,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 4,3 ათ. ლარით; ბ) 534,6 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 33,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 192,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 41,2 პროცენტი.

ზემოთაღნიშნული დარგის (16 სხვადასხვა საბიუჯეტო ერთეული)
გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1.1. სულ მთლიანობაში სპორტული სკოლების (10 ერთეული), სპორტული კლუბების (3 ერთეული) და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 254,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 40,0 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა 43,0 ათ. ლარით (აქედან: ა.ა) დადგენილებით 25,6 ათ. ლარით; ა.ბ) ბრძანებით 17,4 ათ. ლარით); ბ) შემცირდა დადგენილებით 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 294,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 272,3 ათ. ლარი, ე.ი. 22,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 4,3 ათ. ლარით; ბ) 18,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 92,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 192,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 41,2 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და
შესრულდა შემდეგნაირად:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 37,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,7 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 34,4 ათ. ლარი, ე.ი. 3, 3 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 91,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 14,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 72,0 პროცენტი.

ბ) თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ხელბურთის კლუბი „ოქროს ვერძის“ დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 28,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 23,5 ათ. ლარი, ე.ი. 4,9 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 82,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 3,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 12,6 პროცენტი.

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის (11 ა(ა)იპ - ი) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 173,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 23,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) გაიზარდა დადგენილებით 6,2 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 17,4 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 197,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 193,0 ათ. ლარი, ე.ი. 4,3 ათ. ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 97,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის

პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 5,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 2,8 პროცენტი.

დ) ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 15,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 15,7 ათ. ლარით (მათ შორის: გაიზარდა დადგენილებით 18,7 ათ. ლარით და ასევე შემცირდა 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 31,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21,4 ათ. ლარი, ე.ი. 9,8 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 68,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 72,6 პროცენტი.

მათ შორის ღონისძიებების მიხედვით გადასახდელების დაფინანსება
დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

დ.ა) ქალაქ ფოთის ღია პირველობა რაგბიში - ჩასატარებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებების შედეგად სრულად შემცირდა.

დ.ბ) ქ. ფოთის პირველობები საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის: მძლეოსნობაში, ხელბურთში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთსა და მზიარულ სტარტებში - ჩასატარებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7,1 ათ. ლარი, ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა და დაფინანსდა 4,3 ათ. ლარით, ე.ი. 2,8 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 60,6 პროცენტი.

დ.გ). ინტელექტუალური თამაშების ფესტივალის - ჩასატარებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ფესტივალი ჩატარდა და დაფინანსდა 4,2 ათ. ლარით, ე.ი. 0,8 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 84,0 პროცენტი.

დ.დ) ქ. ფოთში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის ჩასატარებელი ღონისძიება, მომავალში სპეციალობების არჩევის თაობაზე - ჩასატარებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,5 ათ. ლარი, ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა და დაფინანსდა 1,3 ათ. ლარით, ე.ი. 0,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 86,7 პროცენტი.

დ.ე). წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ჩასატარებლად გასაწევი ხარჯები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 6,0 ათ. ლარი, ფაქტიურად აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა.

დ.ვ) საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ჩასატარებლად გასაწევი ხარჯები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 11,6 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა.

სულ აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს სპორტული სკოლების (10 ერთეული), სპორტული კლუბების (3 ერთეული) და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 7,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 294,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 272,3 ათ. ლარით, ანუ 22,3 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 4,3 ათ. ლარით; ბ) 18,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

1.2. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია - მშენებლობის გადასახდელების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2,4 ათ. ლარი, ე.ი. 68,6 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 0,5 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 2,4 ათ. ლარის ოდენობით (გეგმის 68,6%), რაც სრულად დაფინანსდა.

1.3. სტადიონის რეაბილიტაცია) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 515,5 ათ. ლარი (დადგენილებით), ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულებულა და არც დაფინანსდა.

სულ აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 66,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 813,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 274,7 ათ. ლარით, ანუ 538,9 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 4,3 ათ. ლარით; ბ) 534,6 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

2. კულტურის სფეროს მომსახურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 249,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 25,0 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 22,0 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 274,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 236,5 ათ. ლარი, ე.ი. 38,0 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 1,7 ათ. ლარით; ბ) 36,3 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 86,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 148.5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 38,6 პროცენტი.

ზემოთაღნიშნულ დარგში ფინანსდება 8 (რვა) სხვადასხვა საბიუჯეტო ერთეულის გადასახდელები, რომელიც დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

2.1. სულ ორგანიზაცია - დაწესებულებების (7 სხვადასხვა ერთეული) გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 205,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 14,6 ათ. ლარით (მათ შორის: ა) დადგენილებით 11,6 ათ. ლარით; ბ) ბრძანებით 3,0 ათ. ლარით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 220,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 215,4 ათ. ლარი, ე.ი. 4,7 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 1,7 ათ. ლარით; ბ) 3,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 98,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 160,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 48,7 პროცენტი.

აღნიშნული გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება - არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 51,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3,0 ათ. ლარით (ბრძანებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 54,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 54,3 ათ. ლარი, ე.ი. 0,4 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა

არ ყოფილა), ანუ 99,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1,4 პროცენტი.

ბ) თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ა (ა) ი კ საბიბლიოთეკო გაერთიანების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 31,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 28,5 ათ. ლარი, ე.ი. 2,6 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 91,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 0,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,2 პროცენტი.

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის გადასახდელების (5 ა(ა)იკ - ი) დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 122,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11,6 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 134,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 132,6 ათ. ლარი, ე.ი. 1,7 ათ. ლარით ნაკლები (არ დაფინანსდა), ანუ 98,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 163,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 55,2 პროცენტი.

სულ ორგანიზაცია - დაწესებულებების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების ნაკლებად დაფინანსებას 1,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 220,1 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 215,4 ათ. ლარით, ე.ი. 4,7 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 1,7 ათ. ლარით; ბ) 3,0 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

2.2. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 44,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 10,4 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 54,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21,1 ათ. ლარი, ე.ი. 33,3 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა), ანუ 38,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 12,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 137,1 პროცენტი.

მათ შორის ღონისძიებების მიხედვით ხარჯების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

ა) შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 6,4 ათ. ლარი (დადგენილებით), ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა და სრულად დაფინანსდა.

ბ) 3 - 8 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩასატარებელი ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა და დაფინანსდა 8,5 ათ. ლარით, ე.ი. 1,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,0 პროცენტი.

გ) კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების მატერიალური წახალისების (ჯილდო) ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 4,0 ათ. ლარით (დადგენილებით) და დაზუსტებულმა გეგმამ

შეადგინა 9,0 ათ. ლარი, ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა და დაფინანსდა 6,2 ათ. ლარით, ე.ი. 2,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 68,9 პროცენტი.

ე) კონკურსების, გამოფენების და ივენთების ორგანიზების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

ვ) ტრენინგების, კონფერენციების, სემინარების, დისკუსიებისა და სალონური შეხვედრების ორგანიზების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

ზ) სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებების ჩასატარებელი ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4,0 ათ. ლარს, რაზედაც მოთხოვნა არ ყოფილა.

სულ აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 61,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 54,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 21,1 ათ. ლარით, ე.ი. 33,3 ათ. ლარით ნაკლები (აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა).

სულ კულტურის სფეროში მომსახურების (გარდა მშენებლობისა) დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების გეგმაზე ნაკლებად დაფინანსებას 13,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 274,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 236,5 ათ. ლარით, ე.ი. 38,0 ათ. ლარით ნაკლები (მათ შორის: ა) არ დაფინანსდა 1,7 ათ. ლარით; ბ) 36,3 ათ. ლარზე მოთხოვნა არ ყოფილა).

2.3. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა კულტურის სფეროში (მშენებლობის სფერო) ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

